

789-8
2014

ISSN – 0321 – 1665
საქართველოს
მეცნიერებათა
ეროვნული
აკადემიის
მაცნე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე
Известия Национальной Академии Наук Грузии
Proceedings of the Georgian National Academy of Sciences

BIOMEDICAL SERIES

ბიომედიცინის სარია БИОМЕДИЦИНСКАЯ СЕРИЯ

მაი - აგვისტო
May - August
May - August

2014 № 3-4 40

BIOMEDICAL SERIES
ბიომედიცინის სერია
БИОМЕДИЦИНСКАЯ СЕРИЯ

2014 № 3-4

**ტომი
TOM
VOL.**

40

ქურნალი დაარსებულია 1975 წელს
Журнал основан в 1975 году
Founded in 1975

თბილისი თბილისი Tbilisi
2014

სარედაქციო კოლეგია

ნოდარ მითაგვარია	(მთავარი რედაქტორი)
ფრიდონ თოდუა	(მთ. რედაქტორის მოადგილე)
გურამ ბეჭაია	(მთ. რედაქტორის მოადგილე)
ჯეიმს ბიჩერი (აშშ)	(მთ. რედაქტორის მოადგილე)
არქადი სურმავა	(სწ. მდივანი)
ნიკო გონგაძე	დაგით მიქელაძე
მერაბ კოკაია (შვედეთი)	დაგით ნადარეიშვილი
ბორის კორსანტია	რომან შაქარიშვილი
ილია ლაზრიშვილი	

სარედაქციო საბჭო

ტელმან აგაევი (აზერბაიჯანი)	ლავრენტი მანაგაძე
ივა ბერაძე	ლევონ მანგელიანი (სომხეთი)
რევაზ გაგუა	დაგით მეტრეველი
აფიქ გაზიევი (აზერბაიჯანი)	ბაადურ მოსიძე
ივანე დემხენკო (აშშ)	გაატერინებ ჰატარაია (ავსტრია)
ზურაბ ვადაჭკორია	ალექსანდრე სკრეიცერ (რუსთი)
დმიტრო ვასილენკო (უკრაინა)	ზურაბ ქევანიშვილი
ოთარ თოიძე	ალექსანდრე ცისკარიძე
არჩილ კეზელი	ნინო წაქაძე (აშშ)
ირინე კვაჭაძე	დიმიტრი წევრავა
დიმიტრი კორძაია	ბექან წინამძღვრიშვილი
ველიქე მაკაროვი (რუსთი)	არჩილ ხომასურიძე

კორექტორი: დ. სოხაძე

კომიუნიკაციული დიზაინი და დაკაბალუნება: ა. სურმავა

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

<i>M. Митагвария</i>	(гл. редактор)
<i>F. Тодуа</i>	(зам. гл. редактора)
<i>G. Бекая</i>	(зам. гл. редактора)
<i>Дж.И. Бичер (США)</i>	(зам. гл. редактора)
<i>A. Сурмава</i>	(уч. секретарь)
<i>H. Гонгадзе</i>	<i>D. Микеладзе</i>
<i>M. Кокая (Швеция)</i>	<i>D. Надареишвили</i>
<i>B. Корсантия</i>	<i>P. Шакаришвили</i>
<i>I. Лазришвили</i>	

РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

<i>T. Агаев (Азербайджан)</i>	<i>L. Манагадзе</i>
<i>I. Берадзе</i>	<i>L. Манвелян (Армения)</i>
<i>Z. Вадачкория</i>	<i>D. Метревели</i>
<i>D. Василенко (Украина)</i>	<i>B. Мосидзе</i>
<i>P.O. Гагуа</i>	<i>E. Патарая (Австрия)</i>
<i>A. Газиев (Азербайджан)</i>	<i>A. Скребицкий (Россия)</i>
<i>I. Демченко (США)</i>	<i>O. Тойдзе</i>
<i>I. Квачадзе</i>	<i>A. Хомасуридзе</i>
<i>Z. Кеванишвили</i>	<i>H. Цакадзе (США)</i>
<i>A. Кезели</i>	<i>D. Цверава</i>
<i>D. Кордзая</i>	<i>B. Цинамдзгвришвили</i>
<i>F. Макаров (Россия)</i>	<i>A. Цискаридзе</i>

30690

Корректор: *Д. Сохадзе*

Компьютерный дизайн и верстка: *A. Сурмава*

Издано Обществом физиологов Грузии им. И.С. Бериташвили
Тбилиси, 0160, ул. Л. Готуа, 14

EDITORIAL BOARD

<i>N. Mitagvaria</i>	(Editor-in-Chief)
<i>P. Todua</i>	(Vice-Editor)
<i>G. Bekaya</i>	(Vice-Editor)
<i>J.I. Bicher (USA)</i>	(Vice-Editor)
<i>A. Surmava</i>	(Scientific Secretary)

<i>N. Gongadze</i>	<i>D. Mikeladze</i>
<i>M. Kokaia (Sweden)</i>	<i>D. Nadareishvili</i>
<i>B. Korsantia</i>	<i>R. Shakarishvili</i>
<i>I. Lazrishvili</i>	

ADVISORY BOARD

<i>T. Agaev (Azerbaijan)</i>	<i>L. Manvelian (Armenia)</i>
<i>I. Beradze</i>	<i>D. Metreveli</i>
<i>I. Demchenko (USA)</i>	<i>B. Mosidze</i>
<i>R. Gagua</i>	<i>E. Patarai (Austria)</i>
<i>A. Gaziev (Azerbaijan)</i>	<i>A. Skrebetskiy (Russia)</i>
<i>Z. Kevanishvili</i>	<i>O. Toidze</i>
<i>A. Kezeli</i>	<i>N. Tsakadze (USA)</i>
<i>A. Khomasuridze</i>	<i>A. Tsiskaridze</i>
<i>D. Kordzaia</i>	<i>B. Tsinamdzgvirishvili</i>
<i>I. Kvachadze</i>	<i>D. Tsverava</i>
<i>F. Makarov (Russia)</i>	<i>Z. Vadachkoria</i>
<i>L. Managadze</i>	<i>D. Vasilenko (Ukraine)</i>

Proof-reader: *D. Sokhadze*

Computer design and make-up: *A. Surmava*

Published by I. Beritashvili Georgian Physiologic Society
14, L. Gotua Str., Tbilisi, 0160

შესაბამისი**СОДЕРЖАНИЕ****CONTENTS****საქართველოში გამოყოფილი****DESULFOVIBRIO-ს გვარის ყარმობადგენები****სახეობების იდენტიფიკაცია**

დ. ბოლქვაძე, გ. თევდორაძე, ნ. სხირტლაძე, ლ. ლეშკაშელი, ლ. კვაჩაძე,
ნ. ბალარჯიშვილი, მ. ქუთათელაძე

**ИДЕНТИФИКАЦИЯ ВИДОВ,
ПРЕДСТАВИТЕЛЕЙ РОДА DESULFOVIBRIO,
ИЗОЛИРОВАННЫХ В ГРУЗИИ**

Д. Болквадзе, Е. Тевдорадзе, Н. Схиртладзе, Л. Лешкашели, Л. Квачадзе,
Н. Баларджишвили, М. Кутателадзе

**THE IDENTIFICATION OF SPECIES
OF THE DESULFOVIBRIO GENUS,
ISOLATED IN GEORGIA**

D. Bolkvadze, E. Tevdoradze, N. Skhirtladze, L. Leshkasheli, L. Kvachadze,
N. Balarjishvili, M. Kutateladze 83

ლულოვანი ძვლების**უუსორცებები მოფენილობის****რამაციული გაურნალობის გეთოდისა**

გ. ბოლქვაძე, გ. ტაბატაძე, ნ. ავაზაშვილი, ე. ფხოველიშვილი, ნ. მარჯანიძე

МЕТОДИКА ХИРУРГИЧЕСКОГО ЛЕЧЕНИЯ**НЕСРОСШИХСЯ ПЕРЕЛОМОВ****ТРУБЧАТЫХ КОСТЕЙ**

შ. Болквадзе, М. Табатадзе, Н. Авазашвили, Э. Пховелишвили,
Н. Марджаниძе

**TECHNIQUE OF SURGICAL TREATMENT
OF TUBULAR BONES' NONUNION FRACTURES**

Sh. Bolkvadze, M. Tabatadze, N. Avazashvili, E. Pkhovelishvili,
N. Marjanidze 93

ეპილეპსიის სუბიექტური ზემოქმედების ხარისხი ვოკალური
ეპილეპსიური გულყრიას გმონე ძართულ კონტაკიაზი

б. გზირიშვილი, მ. ალხიძე, ე. ტოგონიძე, გ. ლომიძე, ა. ცისკარიძე,
ს. კასრაძე

**СТЕПЕНЬ СУБЪЕКТИВНОГО ВОЗДЕЙСТВИЯ ЭПИЛЕПСИИ
НА ПРЕДСТАВИТЕЛЕЙ ГРУЗИНСКОЙ ПОПУЛЯЦИИ,
СТРАДАЮЩИХ ПРИСТУПАМИ ФОКАЛЬНОЙ ЭПИЛЕПСИИ**

Н. Гзиришвили, М. Алхидзе, Э. Тогонидзе, Г. Ломидзе, А. Цискаридзе, С. Касрадзе

**ASSESSMENTS OF SUBJECTIVE HANDICAP OF EPILEPSY (SEH)
IN PEOPLE WITH FOCAL EPILEPSY SEIZURES IN GEORGIAN POPULATION**

N. Gzirishvili, M. Alkhidze, E. Togonidze, G. Lomidze, A. Tsiskaridze 101

ეპილეპსიის სუბიექტური ზემოქმედების ხარისხი განსხვავებული
გულტურალური კონტაკიაზის ეპილეპსიის გმონე სტუდენტებიზე

б. გზირიშვილი, გ. ლომიძე, თ. ჯიშკარიანი, ჩ. ოზკარა, ა. ცისკარიძე,
ს. კასრაძე

**ИЗУЧЕНИЕ СТЕПЕНИ СУБЪЕКТИВНОГО ВОЗДЕЙСТВИЯ ЭПИЛЕПСИИ
НА БОЛЬНЫХ ЭПИЛЕПСИЕЙ СТУДЕНТОВ, ПРЕДСТАВИТЕЛЕЙ
РАЗЛИЧНЫХ КУЛЬТУРАЛЬНЫХ ПОПУЛЯЦИЙ**

Н. Гзиришвили, Г. Ломидзе, Т. Джишкарани, Ч. Озкара, А. Цискаридзе, С. Касрадзе

**THE STUDY OF SUBJECTIVE EFFECT OF EPILEPSY (SEH) IN STUDENTS WITH
EPILEPSY, REPRESENTATIVES OF DIFFERENT CULTURAL POPULATIONS**

N. Gzirishvili, G. Lomidze, T. Jishkariani, C. Ozkara, A. Tsiskaridze, S. Kasradze 111

დოფამინის გავლენა Ca-Mg-ATPაზაზე

ს. კუპრაძე, მ. ჯავახიშვილი

ВЛИЯНИЕ ДОФАМИНА НА Ca,Mg-ATФазу

С. Купрадзе, М. Джавахишвили

THE EFFECT OF DOPAMINE ON Ca,Mg-ATPase

S. Kupradze, M. Javakhishvili 119

**НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ РЕНИН-АНГИОТЕНЗИН-АЛДОСТЕРОНОВОЙ
СИСТЕМЫ И ИХ ВЛИЯНИЕ НА ТЕЧЕНИЕ СЕРДЕЧНОЙ НЕДОСТАТОЧНОСТИ**

Н.Д. Мамамтавришвили, Р.И. Абашидзе, А.А. Петриашвили, Г.Ш. Мацаберидзе

რენინ-ანგიოტენზინ-ალდოსტერონის სისტემის ზოგიერთი

თავისებურება და მათი გავლენა გულის უპარისობის მიმდინარეობაზე

გ. მამამთავრიშვილი, რ. აბაშიძე, ა. პეტრიაშვილი, გ. მაცაბერიძე

**SOME PECULIARITIES OF THE RENIN-ANGIOTENSIN-ALDOSTERONE SYSTEM
AND THEIR EFFECT ON THE HEART FAILURE COURSE**

N. Mamamtavriashvili, R. Abashidze, A. Petriashvili, G. Matsaberidze..... 123

MYOCARDIAL ADAPTATION MECHANISMS AND SOME ASPECTS OF ITS METABOLIC CONTROL IN PATIENTS WITH ISCHEMIC HEART DISEASE

I. Megreladze, I. Todua

მომართული პდაპაციენტის გენეზიზები და მისი გეტაპოლური
კონტროლის ზოგადი ასპექტები გულის იგეზიური
დავადებების მძღვანელობის ააცივნებები

ი. მეგრელაძე, ი. თოდუა

МЕХАНИЗМЫ МИОКАРДИАЛЬНОЙ АДАПТАЦИИ И НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ЕЕ МЕТАБОЛИЧЕСКОГО КОНТРОЛЯ У ПАЦИЕНТОВ С ИШЕМИЧЕСКОЙ БОЛЕЗНЬЮ СЕРДЦА

И. Мегреладзе, И. Тодуа..... 129

საჭაპავის საონთანური გახეთდვა

ბ. მოსიძე, თ. სირაძე, მ. გურგენიძე

СПОНТАННЫЙ РАЗРЫВ ПИЩЕВОДА

Б. Мосидзе, Т. Сирадзе, М. Гургенидзе

ESOPHAGEAL SPONTANEOUS RUPTURE

B. Mosidze, T. Siradze, M. Gургенидзе..... 151

Mg-ATPase-ს გამოკვლევის ზოგიერთი საკითხი

ქ. ნოზაძე, ნ. არუთინოვა, ლ. ცაკაძე, ლ. შიოშვილი, მ. ლელაძე, მ. დჟნელაძე,
ს. ძელაძე, გ. ჭავჭავაძე

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИЗУЧЕНИЯ Mg-ATPазы

Е. Нозадзе, Н. Арутюнова, Л. Цакадзе, Л. Шиошвили, М. Леладзе, С. Дзнеладзе,
Г. Чхадуа

SOME ASPECTS OF Mg-ATPase STUDY

E. Nozadze, N. Arutinova, L. Tsakadze, L. Shioshvili, M. Leladze, S. Dzneladze,
G. Chkadua 159

გვლის კეთილდოვნებიანი სიმსივნეები – ოსტეოკლასტომის მარქაციული გერმანულის ძირითადი პრინციპები ადგილობრივი რეციდივის პირობებში

ლ. ჭანტურია

ОСНОВНЫЕ ПРИНЦИПЫ ОПЕРАЦИОННОГО ЛЕЧЕНИЯ ОСТЕОКЛАСТОМЫ – ДОБРОКАЧЕСТВЕННОЙ ОПУХОЛИ КОСТИ В УСЛОВИЯХ МЕСТНОГО РЕЦИДИВА

Л. Чантuria

BASIC PRINCIPLES OF SURGICAL TREATMENT OF OSTEOCLASTOMA – BENIGN BONE TUMORS IN THE CONDITIONS OF LOCAL RECURRENCE

L. Chanturia 165

ნორმასა და პათოლოგიას შორის გარდამავალი (ორგანიზმის
ცხოველებულების მეოთხე ძირითადი) მფგრამარეობის თეორია
გ. ხანანაშვილი

ТЕОРИЯ ПЕРЕХОДНОГО СОСТОЯНИЯ МЕЖДУ НОРМОЙ И ПАТОЛОГИЕЙ
(ЧЕТВЕРТОГО ОСНОВНОГО СОСТОЯНИЯ ЖИЗНЕНДЕЯТЕЛЬНОСТИ ОРГАНИЗМА)

М. Хананашвили

THE THEORY OF TRANSITION STATE FROM NORM TO PATHOLOGY
(FOURTH BASIC STATE OF ORGANISMS' LIFE ACTIVITY)

M. Khananashvili 171

06სტრუქტოა ავტორთათვის

ИНСТРУКЦИЯ ДЛЯ АВТОРОВ

INSTRUCTIONS FOR AUTHORS

საქართველოში გამოყოფილი DESULFOVIBRIO-ს

გენერის ტარმომაღალებელი სახეობების იდენტიფიკაცია

დ. ბოლქვაძე¹, ქ. თევზდორიაძე¹, ნ. სხირტლაძე¹, ლ. ლეგუაშვილი¹,
ლ. კბაძე¹, ნ. ბალარჯიშვილი¹, მ. ქუთათელაძე¹

¹ გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვი-
რუსოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი; ² ილიას სახელმწიფო უნივერ-
სიტეტი, თბილისი

საქართველოს შავი ზღვისპირა რაიონებში, ნავთობტერმინალის მახლობლად
შეგროვებული გარემოს ნიმუშებიდან გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია
სულფატების დამჟანგავი (*Desulfovibrio*) 10 ბაქტერიული შტამი. ეს შტამები
იდენტიფიცირებულია პოლიმერაზა-ჯაჭვური რეაქციის მეთოდით. გაშიფრულია
16S რიბოსომული რნბ-ის თანმიმდევრობა. გენომური ანალიზის საფუძველზე
დამტკიცებულია, რომ საქართველოში გამოყოფილი შტამები მიეკუთვნება *Desul-
fovibrio*-ს გვარის წარმომადგენლებს. ბაქტერიების კულტურივირებისთვის შერჩეუ-
ლია ოპტიმალური საკვები არები (LS4D და არე 87). ელექტრონული მიკროსკოპის
მეშვეობით შესწავლილია მიკრობების მორფოლოგია და ნანხია, რომ ყველა
მათგანს ახასიათებს წეირისებური ფორმა, ერთი ან ლოფოტრისული პოლარული
შოლტი და მიმართული მოძრაობა.

საკვანძო სიტყვები: გვარი *Desulfovibrio*, სულფატების დამჟანგავი ბაქტერიები,
ანაერობული კულტივირება

სხვადასხვა სახის მიღების კოროზია (სასმელი და სარწყავი წყლის,
ნავთობსადენის და გაზის) საქმაოდ პრობლემატურ საკითხთა რიცხვს
მიეკუთვნება [3, 10, 19]. იგი წარმოადგენს ბუნებრივ ელექტროქიმიურ
პროცესს, რომლის დროს სხვადასხვა სუფთა მეტალებისა თუ მათი
ნარევებისგან დამზადებული მასალები ქიმიურ უანგვას განიცდის [9].

ბიოლოგიური ზეგავლენით, კერძოდ მიკროორგანიზმებით გამოწვეულ
მეტალის დაზიანებას ბიოკოროზიას უწოდებენ. ბიოკოროზის გამომწვევ
ყველაზე გავრცელებულ მიკროორგანიზმთა ჯგუფს წარმოადგენს
სულფატების დამჟანგავი (sdb), რომლებიც *Desulfovibrio*-ს გვარის სახით
არის წარმოდგენილი [10, 12]. აღნიშნული ბაქტერიები ცხოვრობენ
უჟანგბადო და აიროვან გარემოში. ზრდის პროცესში ისინი ასდენენ



ორგანული ნაერთების დაჟანგვას და სულფატების (SO_4^{2-}) გარდა ქმნას სულფიდებად (S^{2-}) [7]. ამ პროცესის შედეგად გამოყოფილი გოგირდნებალბადის (H_2S) სპეციფიკური სუნი კი წარმოადგენს გარემოში სულფატების დაჟანგვაზ ბაქტერიების არსებობის დამადასტურებელ ერთ-ერთ ფაქტორს. გამოყოფილი გოგირდნებალბადი შემდგომ რეაქციაში შედის სხვადასხვა მეტალებთან, მაგალითად, რკინის ონებთან. ამ ურთიერთქმედების შედეგად ადგილი აქვს მეტალის კოროზიას და წარმოქმნილი მარილების შავი ან ყავისფერი პრეციპიტატის სახით გამოლექვას გარემოში [9, 13].

1934 წლიდან ითვლება, რომ სწორედ სულფატების დაჟანგვაზ ბაქტერიები იწვევს რკინის მეტალების წერტილოვან კოროზიებს და, შესაბამისად, მათ დაშლას როგორც წყლიან, ასევე ნიადაგის გარემოში [2]. ამ ბაქტერიებს საქმაოდ მრავალფეროვან პირობებში შეუძლიათ არსებობა (განსხვავებული საკვები არე, ტემპერატურა, წნევა თუ მჟავიანობა). სხვადასხვა გარემოში ფერმენტ პილორგენაზას და/ან რკინის სულფიდების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ მეტალის დაზიანება გამოწვეული არის სწორედ სულფატების დაჟანგვაზ ბაქტერიებით [2].

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ბათუმის რეგიონში შავი ზღვის მახლობლად არსებულ ნავთობტერმინალების მიდამოებში სულფატების დაჟანგვაზ ბაქტერიების გამოყოფა, მათი იდენტიფიკაცია და შესწავლა.

მასალა და მეთოდები

ნიმუშების შეგროვება

ნიმუშები ადგებულ იქნა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ შავი ზღვის მიდამოებში ნავთობსადენი ტერმინალების მახლობლად. ნიმუშები შეგროვდა სხვადასხვა ადგილებიდან, კერძოდ მდინარეების იქრის, ჩხოუსა და ბარცხანას მტკნარი წყლებიდან, შლამიდან მდინარისა და ზღვის სანაპიროებთან, ასევე შავი ზღვის ფსკერიდან (2.5-3 მეტრის სიღრმეზე) და კოროზიული რკინის მილებიდან ქ. ბათუმში ზღვის სანაპიროსთან (სურ. 1).

ბაქტერიული შტამების გამოყოფა და კულტივირება

გარემოს სინჯებიდან ბაქტერიული შტამების გამოსაყოფად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა საკვები არეები [4, 15]. სულფატების დაჟანგვაზ ბაქტერიების დეტექცია გაკეთდა API-ნიადაგის გამოყენებით (რეკომენდებული ამერიკის ნავთობის ინსტიტუტის მიერ (American Petroleum Institute) [18]. ზღვის სინჯებიდან ბაქტერიების გამოყოფისთვის საკვებ არეს ზღვის მარილებიც ემატებოდა (Sea salts, Sigma). ადნიშნული ნიადაგის შემადგენლობაში შედის რკინის ონები, ამდენად მასში სულფატების დაჟანგვაზ ბაქტერიების (სლბ) კულტივირების შემთხვევაში ადგილი აქვს საკვები არეს გაშავებას. ბაქტერიების კულტივირება წარმოებდა ანაერობულ პირობებში 30°C ტემპერატურაზე. ანაერობული პირობების მისაღწევად გამოყენებულ იქნა ანაერობული კამერა და CO_2 -ის წარ-

მომქმნელი პაკეტები (GENbox). თხევადი საკვები არეს გამოყენების შემთხვევაში სინჯარები მთლიანად იქნა შევსებული თხევადი საკვები არეთი, შემდეგ მჭიდროდ დაიხურა რეზინის საცობებით და ავტოკლავირდა 121°C-ზე 15 წუთით.

ჩვეულებრივ, სდბ სინჯები დადებით რეაქციას (საკვები არეს გაშავება) 14 დღის განმავლობაში იძლევა, თუმცა რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია ბაქტერიების სახეობაზე, ასევე ინკუბაციის ტემპერატურაზე [4]. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დაგვიანებულ დადებით რეაქციებსაც, რის გამოც სინჯებზე დაგვირვება 30 დღის განმავლობაში წარმოებს (სურ. 2).

მომდევნო ეტაპზე დადებითი, შავი პრეციპიტატის მქონე სინჯები დაკონცენტრირებულ იქნა ცენტრიფუგირების გზით (6000 rpm, 15 წუთით) და სხვადასხვა სახეობის არეებში მოხდა მათი ინოკულაცია: LS4D, თიოგლიკოლატის (Thioglycollate) არე (Sigma), Desulfovibrio არე-87, რომელიც მოწოდებულია VTT კულტურების კოლექციის მიერ (medium-63-ის ანალოგი DSMZ (გერმანიის მიკროორგანიზმებისა და უჯრედული კულტურების კოლექციის მიხედვით). ყველა ჩამოთვლილ ნიადაგში თანმდევი ფლორის დათრგუნვის მიზნით ვამატებდით 1.5% Na₂SO₃-ს, ხოლო Na₂S ემატებოდა, როგორც გროვირდის დამატებითი წყარო [16].

ბაქტერიული შტამების თხევად საკვებ არეში მრავალჯერადი კულტივირების შემდეგ, ყველა დადებითი სინჯის გადატანა ხდებოდა მყარ საკვებ ნიადაგზე თანმდევი, დამაბინძურებელი ფლორისგან ბაქტერიული უჯრედების გასუფთავების მიზნით [15]. შემდეგ ეტაპზე შავი პიგმენტაციის მქონე ცალკეული ბაქტერიული კოლონიები მყარი საკვები არედან (0.5% აგარი) ნახევრადმყარ საკვებ არეში გადაგვექონდა. აღნიშნული პროცედურა განმეორდა მრავალჯერადად, სანამ თითოეულ სინჯში ინდივიდუალური ერთგვაროვანი ბაქტერიული კოლონიები არ მივიღეთ (სურ. 3).

თანმდევი ფლორისგან გასუფთავების შემდეგ ბაქტერიულ შტამებზე შემდგომი პლავები გაგრძელდა ორი ტიპის თხევად საკვებ არეში – LS4D და არე-87.

იდენტიფიკაცია

გამოყოფილი ბაქტერიული შტამების იდენტიფიკაცია ჩატარდა რამდენიმე კრიტერიუმით.

3.1. პიგმენტ დასულფოვირიდინის არსებობა – ამ მეთოდის მიხედვით, სტერილური წერის საშუალებით ბაქტერიული ნაზარდიდან ცალკეულ კოლონიებზე ეწვეთება თითო წვეთი 2 N NaOH-ის სსნარი. რეაქციას დაშურვნებლივ ვაკვირდებით ულტრაიისფერ განათებაზე, დადებითი რეაქციის მიმანიშნებელია ფლუორესცენტული ნათება [17]. ცდაში გამოყენებულ იქნა უარყოფითი კონტროლიც, კერძოდ E. coli ბაქტერიული შტამი, რომელსაც ფლუორესცენტული ნათება არ ახასიათებს.

3.2. ბიოქიმიური შესწავლა ჩატარდა, რადგან ყველა სულფატის დამზანება ბაქტერიას მეტაბოლიზმის პროცესში სულფიტების წარმოქმნა ახასიათებს, რის შედეგად ადგილი აქვს სუბსტრატის გაშავებას. აღნიშნული თვისება შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც ამ

სახეობების მაიდუნტიფიცირებელი ფაქტორი [7]. ჩატარებულ იქნა ეჭვი H2S-მ ტესტი, რისთვისაც გამოვყენეთ სპეციალური საცდელი ფირფიტები (Fluka). სინჯების ინოკულირების პარალელურად ფირფიტების ჩაკიდება სინჯარებში ხდება ისე, რომ თავად ნიადაგს ფირფიტა არ შეეხოს. სულ ფარგების დამჟანგავი ბაქტერიების ზრდის შემთხვევაში, ამ უკანასკნელთა მიერ მეტაბოლიზმის პროცესში გამოყოფილი გოგირდწყალბადი ფირფიტებზე არსებულ ცისტეინთან რეაქციაში შესვლით შავ პრეციპიტატს იძლევა და, ამგვარად, ფირფიტა იფერება შავად, რაც დადებითი რეაქციის მანიშნებელია.

3.3. პოლიმერაზა ჯაჭვური რეაქციით (პპრ)-ამპლიფიკაცია – 16S რიბოსომული რნმ-ის პპრ-ამპლიფიკაცია გაპეტდა უნივერსალური პრაიმერების გამოყენებით (ცხრილი 1). პპრ-ამპლიფიკაცია გაპეტდა ოქრმოციკლერის გამოყენებით (Primus Thermal Cyclers-PCR System, BIOTECH) შემდეგ პირობებში: საწყისი დენატურაცია 95°C-ზე 15 წუთი, რომელსაც მოჰყვება 40 ციკლი (დენატურაცია 95°C-ზე 15 წამი, პიბრიდიზაცია 60°C-ზე 30 წამი, აწყობა 72°C-ზე 30 წამი) და საბოლოო აწყობის ციკლი 72°C-ზე 2 წუთით [14].

ცხრილი 1

16S რიბოსომული რნმ-ის უნივერსალური პრაიმერის თანმიმდევრობები

ნუკლეოტიდური თანმიმდევრობა	თანმიმდევრობა 5' > 3' მიმართულებით	სიგრძე (ნ.წ.)	ფრაგმენტის ზომა (ნ.წ.)
27Fjgi	AGAGTTTGATCCTGGCTAG	20	1500
1492Rjgi	GGTTACCTTACGACTT	16	

დადებით კონტროლად გამოყენებულ იქნა DSMZ-კოლექციიდან მიღული შტამები: *D. vulgaris* DSM 644T; *D. vulgaris* DSM 2119T; *D. africanus* DSM 2603T; *D. africanus* DSM 23860T და ორი სტანდარტული შტამი – *D. vulgaris* RCH1 (N1) და *D. africanus* PCS (N2) ლოურენს ბერკლის ეროვნული ლაბორატორიიდან.

3.4. მიკროსკოპირება – ბაქტერიების მორფოლოგია შესწავლით იქნა ორი მეთოდით:

I – გაჭყლებილი წვეთის მეთოდი, რომლის საშუალებით ბაქტერიული უჯრედების მოძრაობის უნარზე დაკვირვება ფაზოკონტრასტული მიკროსკოპის გამოყენებით ხდება [11].

II – ელექტრონული მიკროსკოპია – ბაქტერიული სუსპენზიები შავი პრეციპიტატის მოსაშორებლად დაცნებრიფულიდა 5000 ბრუნზე 3 წუთის განმავლობაში, შემდგომ კი, ბაქტერიული ნალექის შეგროვების მიზნით – 15000 ბრუნზე 5 წუთის განმავლობაში 4°C-ზე. მიღებული ნალექი გაიხსნა PBS ბუფერში [8]. სინჯები მოთავსდა კოლოიდურ ფირფიტაზე და გამოკვლეულ იქნა ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით (JEOL 100°C).


უდეგები და მათი განხილვა

შავი ზღვის მიმდებარე ადგილებიდან შეგროვებულ იქნა რვა სინჯი (ცხრილი 2 და სურ. 1). სინჯებიდან გამოყოფილ და იდენტიფიცირებულ იქნა ათი ბაქტერიული შტამი.

ცხრილი 2

გარემოში აღებული სინჯები


№	სინჯის აღების წეარო
1	N6 – მდ. ბარცხანა ნავთობის ტერმინალთან ახლოს
2	N7 – მდ. ბარცხანას შესართავი – დაჭაობებული ადგილი
3	N14 – მდ. ენგურის შესართავი შავ ზღვასთან (სინჯი გოგირდწყალბადის სუნით)
4	N15 – წყალი შავი ზღვის ფსკერიდან (3 მ სიღრმეზე)
5	N16 – შლამი მდ. იკორის მიდამოებიდან (სინჯი გოგირდწყალბადის სუნით)
6	N17 – წყალი შავი ზღვის ფსკერიდან (2.5 მ სიღრმეზე) ანაკლიის მახლობლად
7	N18 – მდ. ჩხოუს სანაპირო (სინჯი გოგირდწყალბადის სუნით)
8	N19 – შავი ზღვის წყალი სოფელ ანაკლიაში




სურ. 1 გარემო სინჯების აღების ადგილები შავიზღვისპირეთში

ცნობილია, რომ სულფატების დამჟანგავი ბაქტერიები თხევად საკვებ არეში უფრო სწრაფად იზრდებიან, ვიდრე მყარ საკვებ არეზე [16]. გარემოს სინჯების თხევად საკვებ არეში ჩათესვისას დადებითი რეაქცია, რომელიც გამოიხატება საკვები არის გაშავებით, საშუალოდ ათდღიანი კულტივირების შემდეგ გამომჟღვნდა (სურ. 2), ხოლო მყარ საკვებ არეზე –

21-ე დღეს (სურ. 3). ყველა გამოყენებულ საკვებ არეში 30°C -ზე კულტივირების შემთხვევაში ყველა ბაქტერიულ შტამს ახასიათებდა შავი პრეციპიტატის (FeS) წარმოქმნა და 3-4 დღის შემდეგ გოგირდწყალ-ბაფისთვის დამახასიათებელი სუნის გამოყოფა.



სურ. 2. API-ნიადაგში კულტორიგებული
სინჯები: 1 - უარყოფითი რეაქცია; 2-6 -
დადგებითი რეაქცია; 7 - კონტროლი
(საკვები ნიადაგი)




სურ. 3 ცალქეული ბაქტერიული კოლონიები მყარ საკვებ ნიადაგზე. ა – სინჯი N15 (10^1 და 10^2 განხსნავებები), ბ – სინჯი N18 (10^1 და 10^2 განხსნავებები)

სინჯების უმეტესობამ გოგირდწყალბადის (H_2S) ტესტის მიხედვით გამოვლინა დადგითი რეაქცია, ასევე წითელი ნათება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ, რაც სულფატების დამეანგავი ბაქტერიუმისთვის.

გაიშიფრა 16S რიბოსომული რნბ-ის ნუკლეოტიდური თანმიმდევრობა და განისაზღვრა ახლადგამოყოფილი სულფატების დამჯანგავი ბაქტერიების სახეობები. პპრ-ამპლიფიკაციით სტანდარტულ შტამებთან (*D. vulgaris* DSM 644T; *D. vulgaris* DSM 2119T; *D. africanus* DSM 2603T; *D. africanus* DSM 23860T; *D. vulgaris* RCH1 (N1); *D. africanus* PCS (N2)) ერთად გამოკვლეულ იქნა შემდეგი „ქართული“ იზოლატები: N6, N7, N7/1, N15, N16, N16/1, N18, N19, N20, N20/1 (სურ. 4).

16S ριοτωσιμήλοι ωκεί-οις Σικεγένεσις αναλογίας Σερραγόδας, ρωμέλιοι δέργηλοις γρωγνήλοι λαδοροράθρων ιασί θαράρδα (καλούπιορνοια, ασθμ), δαδαλόστρηρδα, ρωμή γαληραγελήλοι απογει „έλαρτηλοι“ θράμοι μιγγυρωγέδα Desulfovibrio-ς γεγαρι. Αμαστοαν, [N6] – SRB GE6 αργοτηνδα 100% οιχεβόγροι Desulfovibrio vulgaris RCH1 – Ζέραμοι; [N7/1] – SRB GE7/1, [N15] – SRB GE15 και [N16/1] – SRB GE 16/1 99% οιχεβόγροια Desulfovibrio vulgaris Hildenborough-Ζέραμοι; [N16] – SRB GE 16, [N20] – SRB GE20 και [N20/1] – SRB GE20/1 99% οιχεβόγροια Desulfovibrio σακερδότες Lzk1- Ζέραμοι, [N7] – SRB GE7 98,78% οιχεβόγροια Desulfovibrio σακερδότες PA35E4 Ζέραμοι, [N18] – SRB GE18 99,37%

დესლფოვიბრია Desulfovibrio სახეობის JG1 შტამის, ხოლო [N19] – SRB GE19 99%
დესლფოვიბრია Desulfovibrio სახეობის Ecwsrb042 შტამის (ცხრილი 3).



5

δ)

სურ. 4. ბაგტერიული შტამპის პპრ-ამპლიფიკაცია. а) 1-6 სტანდარტული შტამპის პპრ-პროდუქტი: 7-13 – „ქართული“ იზოლატების პპრ-პროდუქტი, 14 – დაღვებითი კონტროლი დაღმავალი და აღმავალი პრაიმერებით ერთდროულად, 15 – უარყოფითი კონტროლი დაღმავალი პრაიმერით, 16 – უარყოფითი კონტროლი აღმავალი პრაიმერით, 17 – უარყოფითი კონტროლი (სინჯი დნმ-ის გარეშე), 18 – დნმ-ის სინჯი; б) 1-3 – „ქართული“ იზოლატების პპრ-პროდუქტი


3b90g0 3

ქართული შტამების სახეობები NCBI მონაცემთა ბაზის მიხედვით

№	ქართული შტამები	NCBI მონაცემთა ბაზა	მინიჭებული სახელები
1	SRB GE6	100% – Desulfovibrio vulgaris RCH1	DvRCH1/GE6
2	SRB GE7/1	99% – Desulfovibrio vulgaris Hildenborough	DvH/GE7/1
3	SRB GE15	99% – Desulfovibrio vulgaris Hildenborough	DvH/GE15
4	SRB GE16/1	99% – Desulfovibrio vulgaris Hildenborogh	DvH/GE16/1
5	SRB GE16	99% – Desulfovibrio spp. LZK1	D/LZK1/GE16
6	SRB GE20	99% – Desulfovibrio spp. LZK1	D/LZK1/GE20
7	SRB GE20/1	99% – Desulfovibrio spp. LZK1	D/LZK1/GE20/1
8	SRB GE7	98,78% – Desulfovibrio spp. str. PA35E4	D/PA35E4/GE7
9	SRB GE18	99,37% – Desulfovibrio spp. str. JG1	D/JG1/GE18
10	SRB GE19	99% – Desulfovibrio spp. clone Ecwsrb042	D/GE19



ფაზოკონტრასტული და ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით იდენტიფიცირებული ბაქტერიული შტამების მორფოლოგიური დახასიათებისას ყველა სინჯში ნანახი იქნა ოდნავ მოღუნული, ერთი ან ლოფოტობრიხული პოლარული შოლტის მქონე ჩხირები, რომლებსაც ახასიათებდათ მიმართული მოძრაობა. უჯრედების სწორედ ასეთი მორფოლოგიაა დამახასიათებელი გვარ *Desulfovibrio*-ს წარმომადგენელთათვის (სურ. 5 [2, 5].



სურ. 5. ელექტრონული მიკროსკოპით მიღებული ფოტოები (გადიდება x 23 000)

დასვენა

ამგვარად, ჩატარებული კვლევების შედეგად საქართველოში გამოყოფილ და იდენტიფიცირებულ იქნა *Desulfovibrio*-ს გვარის სახეობები, რომელთა გამოყოფის მცდელობაც ჩვენს ქვეყანაში აქმდე არ ყოფილა. ამასთან, სინჯებიდან, რომლებიც აღებულ იქნა სხვადასხვა სახის წყაროებიდან – მტენარი და ზღვის წყლები, სანაპიროსთან ახლოს და ზღვის ფსკერიდან 2.5-3 მ სიღრმეზე, ასევე მდინარის ან ზღვის სანაპიროს შლამში, გამოყოფილია რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული სახეობა, რაც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს ამ ბაქტერიების ბიომრავალფეროვნების ფაქტორს. გამოყოფილი შტამების სრული იდენტიფიკაცია ჩატარდა რამდენიმე მეთოდის გამოყენებით. სულფატების დამჟანგავი ბაქტერიული სახეობის იდენტიფიცირება მოხდა გარემოდან აღებული რვავე სინჯიდან. იდენტიფიცირებული სულფატების დამჟანგავი ბაქტერიები სინათლის და ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენებით დახასიათდა მორფოლოგიურად და ნანახი იქნა, რომ ყველა მათგანს ახასიათებს ოდნავ მოღუნული ჩხირისებური ფორმის ბაქტერიული უჯრედები პოლარული შოლტით.

ლიტერატურა

1. Barton L.L. Biotechnology Handbooks – Sulfate-reducing bacteria, 1995, 8, 3-42.
2. Beech I.B. Microbiology Today, 2003, 30, 115-117.

3. Ben Z., Gam A., Oueslati R., Abdelkafi S., Casalot L., Tholozan J.L., Labat M. International Journal of Systematic and Evolutionary Microbiology, 2009, 59(5), 1059-1063.
4. Butlin K.R., Adams M.E., Thomas M. Journal of General Microbiology, 1949, 3(1), 46-59.
5. Campbell L.L., Kasprzycki M.A., Postgate J.R. Journal of Bacteriology, 1966, 92, 1122-1127.
6. Castaneda-Carrión N.I., Sheik C.S., Krumholz L.R. International Journal of Systematic and Evolutionary Microbiology, 2010, 60, 880-886.
7. Cord-Ruwisch R., Kleinitz W., Preussag A.G., Widdel F.U. Journal of Petroleum Technology, 1987, 39, 97-106.
8. Hajibagheri N.M.A. Electron microscopy methods and protocols, 1999, 117, 4-7.
9. King R., Miller J.D. Nature, 1971, 233(5320), 491-492.
10. Moiseeva L.S., Kondrova O.V. Protection of Metals, 2005, 41(4), 385-393.
11. Of O. An overview on bacterial motility detection, 2007, 9 (1), 193-196.
12. Polymer C. MIC – Microbially influenced corrosion / New coating against biocorrosion induced by SRB-bacteria. Ceramic Polymer GmbH, 2013, 1-2.
13. Schulze E.-D., Mooney H.A. Biodiversity and Ecosystem Function. Springer-Verlag, 1993, 99, 88-90.
14. Stubner S. Journal of Microbiological Methods, 2004, 57(2), 219-30.
15. Toerien D.F., Thiel P.G., Hattingh M.M. Water Research, 1968, 2(7), 505-513.
16. Tsuneishi N., Goetz A. Applied Microbiology, 1958, 6(1), 42-44.
17. Warren P., Iverson. Applied Microbiology, 1966, 14(4), 529-534.
18. Warren Y.A., Citron D.M., Merriam C.V., Goldstein J.C., Goldstein E.J.C. Journal of Clinical Microbiology, 2005, 43, 4041-4045.
19. Wei L., Ma F., Zhao G. Bioresource Technology, 2010, 101(8), 2643-50.

ИДЕНТИФИКАЦИЯ ВИДОВ, ПРЕДСТАВИТЕЛЕЙ РОДА DESULFOVIBRIO, ИЗОЛИРОВАННЫХ В ГРУЗИИ

Д. Болквадзе,^{1,2} Е. Тевдорадзе,¹ Н. Схиртладзе,¹ Л. Лешкашели,¹
Л. Квачадзе,¹ Н. Баларджишивили,¹ М. Кутателадзе¹

¹ Институт бактериофагии, микробиологии и вирусологии им. Г. Элиава, Тбилиси;
² Государственный университет Ильи, Тбилиси

РЕЗЮМЕ

10 штаммов сульфатредуцирующих (*Desulfovibrio*) бактерий были выделены и идентифицированы из экологических проб, отобранных в районе нефтяных терминалов на Черноморско-береговой линии Грузии. Идентификация бактериальных штаммов проводилась методом полимеразной цепной реакции. Расшифрована последовательность 16S рибосомальной РНК. На основе геномного анализа доказано, что все выделенные в Грузии штаммы принадлежат представителям рода *Desulfovibrio*. Для культивирования бактерий были отобраны оптимальные питательные среды (LS4D и среда 87). С помощью электронной микроскопии изучена морфология микробов; исследования показали, что эти микробы палочковидной формы, с одним или лофотрихиальным типом полярных жгутиков и их характеризует направленное движение.

THE IDENTIFICATION OF SPECIES OF THE *DESULFOVIBRIO* GENUS, ISOLATED IN GEORGIA

D. Bolkvadze,^{1,2} E. Tevdoradze,¹ N. Skhirtladze,¹ L. Leshkasheli,¹ L. Kvachadze,¹
N. Balarjishvili,¹ M. Kutateladze¹

¹ G. Eliava Institute of Bacteriophage, Microbiology and Virology, Tbilisi; ² Ilia State University, Tbilisi

SUMMARY

10 strains of sulfate-reducing (*Desulfovibrio*) bacteria were isolated and identified from the environmental samples collected near the oil terminals at the Black Sea coastline of Georgia. The identification of bacterial strains was performed by polymerase chain reaction (PCR) and the sequence analyses of 16S RNA. Based on genomic analysis all bacterial strains isolated in Georgia belong to the genus of *Desulfovibrio*. Optimal nutrient mediums [LS4D and medium 87] were selected for the cultivation of these bacteria. The morphology of the microbes was studied by electron microscopy; all identified bacteria are rod-shaped with one or lophotrichous polar flagella and motile.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2014, გ. 40, № 3-4

Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2014, т. 40, № 3-4

Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2014, vol. 40, No 3-4

ლულოვანი პალიგნის ურანორცეპალი გოტონილობის ოპერაციული მძურდებლის გათოვდისა

**შ. ბოლოქვაძე, მ. ტაბატაძე, ნ. აგაზაშვილი, გ. ფხოველიშვილი,
ნ. მარჯანიძე**

შპს “გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრი”, თბილისი

ქვლევის მიზანი. მცირე წვივის ძელის კორტიკალური ინტრამედულარული აუტოტრანსპლანტაციის გამოყენების ეფექტურობის შეფასება ლულოვანი ძელების შეუხეორცებელი მოტეხილობების მკურნალობაში.

მასალა და მეთოდები. კვლევაში ჩართული იყო 18-79 წლის ასაკის 35 პაციენტი შეუხეორცებელი მოტეხილობით ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული კლინიკა „სინთეზის“ კონტინგენტიდან, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ კორტიკალური ინტრამედულარული აუტოტრანსპლანტაციების გამოყენებით, მათგან 14 იყო ქალი, 21 – მამაკაცი. საკონტროლო ჯგუფს შეადგენდა 50 პაციენტი შეუხეორცებელი მოტეხილობით: 21 ქალი და 29 ქაცი, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ ტრადიციული მეთოდებით, მათგან 23-ს – არაკეროვანი ოსტეოსინთეზის, 27-ს – ინტრამედულარული ლეროს გამოყენებით. პაციენტთა მონაცემები შედარձა ფიშერის ზუსტი ტესტით, მასალა დამუშავდა SPSS v22-ის გამოყენებით.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ოპერაციიდან 5 თვის თაგზე შეხეორცება მიღწეულია ყველა შემთხვევაში. კარგი შედეგი ახალი მეთოდიკის ჯგუფში დაფიქსირდა 91%-ში, საკონტროლოში – 66% ($p = 0.006$), ამრიგად, ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდიკა სარწმუნოდ აუმჯობესებს ლულოვანი ძელების შეუხეორცებელი მოტეხილობის მკურნალობის შედეგებს და შეიძლება რეკომენდებულ იქნას ფართო გამოყენებისთვის.

საკანონო სიტყვები: ინტრამედულარული აუტოტრანსპლანტაცია, შეუხეორცებელი მოტეხილობა, გაუხელეჩავი ტრანსპლანტაციი

ტრავმატოლოგებისთვის ძელის შეუხეორცებელი მოტეხილობის მკურნალობა დღემდე ტრავმის მძიმე გართულებას და მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს [6, 9]. ძელის შეუხეორცებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც არასათანადო სისხლით მომარაგებით, ისე ძელისა და მიმდებარე რბილი ქსოვილების ინფიცირებით ან სისტემური დავადებებით [3, 4, 7].



ლულოვანი ძვლების შეუხეორცებლობის მკურნალობის ერთ-ერთ შემთხვევაში თოდს ტრანსპლანტაცია წარმოადგენს. გამოიყენება როგორც დემინგურალიზმული ალოტრანსპლანტაცია [10], ისე მცირე წვივიდან ან თემოს ფრთიდან ადებული ახალი აუტოტრანსპლანტაცია [5, 11]. ზოგიერთი ავტორის აზრით, ალომგვალის გამოყენება არ არის რეკომენდებული, რამდენადაც მის რემიდელირებას შესაძლებელია ხელი შეუშალოს პაციენტის იმუნურმა პასუხმა, გარდა ამისა, იგი მოიაზრება, როგორც ინფექციის გადაცემის შესაძლო წყარო [9]. ლიტერატურის მიხედვით, აუტოტრანსპლანტაციები ძვლის მცირე დეფექტებისთვის ოქროს სტანდარტს წარმოადგენს, გააჩნიათ ძლიერი ოსტეოგენური თვისებები, რაც დაკავშირებულია ძვლის რემოდელირებასთან [2]. ჩვენ მიერ შემუშავებულია გრძელი ლულოვანი ძვლების მოტეხილობის ოპერაციული მკურნალობის თვისობრივად ახალი მეთოდია, რაც მდგომარეობს მცირე წვივის ძვლის აუტორენური ძვლის ინტრამედულარულ ტრანსპლანტაციაში.

კვლევის მიზანია მცირე წვივის ძვლის სეგმენტის ინტრამედულარული აუტოტრანსპლანტაციის გამოყენების ეფექტურობის შეფასება ლულოვანი ძვლების შეუხეორცებელი მოტეხილობების მკურნალობაში.

მასალა და მეთოდები

კვლევაში ჩართული იყო 18-79 წლის ასაკის 35 პაციენტი შეუხეორცებელი მოტეხილობით, რომლებიც მკურნალობას ტრაგმატოლოგიურორთოპედიულ კლინიკაში შპს „გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრში“ გადიოდნენ. მკურნალობა ჩატარდა კორტიკალური ინტრამედულარული აუტოტრანსპლანტაციების გამოყენებით, მათგან 14 იყო ქალი, 21 – მამაკაცი. საკონტროლო ჯგუფს შეადგენდა ტრადიციული მეთოდებით ნამკურნალები 50 პაციენტი შეუხეორცებელი მოტეხილობით – 21 ქალი და 29 ქაცი, მათგან 23-ს მკურნალობა ჩატარდა არაკეროვანი ოსტეოსინოზის, ხოლო 27-ს – ინტრამედულარული დეროს გამოყენებით. პაციენტთა მონაცემები შედარდა ფიშერის ზუსტი ტესტით, მასალა დამუშავდა SPSS 22-ის გამოყენებით [1].

ჩართვის კრიტერიუმები

პაციენტები შეუხეორცებელი მოტეხილობით.

გამორიცხვის კრიტერიუმები

მძიმე ჰემატოლოგიური ოსტეომიელიტი.

ჩატარდა დია არარანდომიზებული კონტროლირებადი კვლევა, კვლევის მეთოდები – კლინიკური, რენგენოლოგიური, კლინიკურ-ლაბორატორიული, იმუნოლოგიური.

თევრაციის ჩატარების მეთოდიკა

ისსნება საოპერაციო არე, იკვეთება ცრუ სახსრის შემადგენელი ელექტროგები (ფიბროზული ქსოვილები და ძვლოვანი წანაზარდები), განახლ-

დება მოტეხილობის არეში არსებული პროქსიმალური და დისტალური ძელის ფრაგმენტები ჯანმრთელ ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში ძელის არხი თრივე მხარეს განახლდება რიმერებისა და ბურღების საშუალებით, რის შემდეგ იზომება საგარაულო ტრანსპლანტაციის სიგრძე. წინასწარ მომზადებული საგარაულო ტრანსპლანტაციის არე იხსნება მცირე წვივის მიღამოში (შეუ ქვემო მესამედი), რბილი ქსოვილების გავლის შემდეგ ძვალი მობილიზდება საჭირო ზომის შესაბამისად, ორთოპედიული ხერხის გამოყენებით ხდება მთლიანი გაუხსელებაზი მცირე წვივის ძვლის სეგმენტის ტრანსპლანტაციის აღება, რის შემდეგ ხდება ტრანსპლანტაციის დამუშავება, ეკრძოდ – ძვლის საზრდელის მოცილება, მედულარული შრის დამუშავება-გაფართოება, მცირე წვივის ძვლის ქედის მოჭრა, რათა ტრანსპლანტაციი იყოს სატრანსპლანტაციო არეს ინტრამედულარული არხის კონგრუენტული.

ამის შემდგომ, ტრანსპლანტაციი ინიშნება შეუაში, რათა მისი თრივე მხარე თანაბრად განაწილდეს მოტეხილობის არეს კონტრალატერალურ მხარეებზე. ერთ-ერთ მხარეზე გამჭოლად მაგრდება ლაგსანის ძაფი, რომელიც ხელს უწყობს ტრანსპლანტაციის რეტროგრადულად მოთავსებას კონტრალალატერალურ მხარეზე.

ძაფის გამოქაჩივის შედეგად, ტრანსპლანტაციი შედის კონტრალატერალურ მხარეში, ცენტრალური ნიშნულის მიხედვით თავსდება ზუსტად შეუაში, რის შემდეგ ძაფი იჭრება ცალ მხარეს და ამოდის. სრულდება ლერძული რეპოზიცია, რის შემდგომ მოტეხილობის არწს ფიქსაცია ხდება კომპრეჟიული ფირფიტის საშუალებით. აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმას, რომ ბურღმა გაიაროს 4 კორტიკალი, რაც გულისხმობს, რომ ჭანჭიკები გატარდეს ორი საწყისი ძვლის და ორი ტრანსპლანტაციის კორტიკალში, რაც უსრუნველყოფს მაქსიმალურად მყარ ფიქსაციას. ტრანსპლანტაციის არეში არსებული დეფექტები ივსება კორტიკალური შრის ძვლოვანი ფრაგმენტებით, რომელიც მზადდება ტრანსპლანტაციის ნაწილის მორგვებად დაჭრით (სურ. 1). ჭრილობა იხურება შრეობრივად.

უკავებები

საკავლევი და საკონტროლო ჯგუფები ინიციალური მახასიათებლების მიხედვით სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან (ცხრილი 1), თრივე ჯგუფში პრევალირებდა ღია მოტეხილობა, შეუხორცებლობის მიზეზებიდან მაღალი სიხშირით გამოირჩეოდა არასტაბილური ოსტეოსინთეზი და ფრაგმენტების არასაკმარისი რეპოზიცია და ძვლის მრავალფრაგმენტოვანი დამსხვრეული მოტეხილობა.


მეურნიალობის შედეგების შეფასება მოცემულია დიაგრამაზე 1. კვლევამ გვიჩვენა, რომ ძირითად ჯგუფში, საკონტროლოსთან შედარებით, სარწმუნოდ მეტი იყო კარგი შედეგის სიხშირე ($p = 0.006$), ხოლო საკონტროლო ჯგუფში მომატების ტენდენციას ამჟღავნებდა არადამაკმაყოფილებელი შედეგის სიხშირე.

**პაციენტთა ინიციალური მახასიათებლების სტატისტიკური შეფასება
 ტრადიციული მკურნალობის და ახალი მეთოდიების ჯგუფებში**

მახასიათებლები		ტრადიც. მკურნ. ჯგუფი		ახალი მეთოდ. ჯგუფი		P
		Abs.	Mean	Abs.	Mean	
სქესი	მდედრობითი	21	0.42	14	0.40	0.856
ასაკი	16-30 წ.	10	0.20	5	0.14	0.502
	31-45 წ.	27	0.54	21	0.60	0.588
	45 წლის ზემოთ	13	0.26	9	0.26	0.977
მოტეხილობის ტიპები	ღია მოტეხილობა	34	0.68	24	0.69	0.956
	ღამურული მოტეხილობა	18	0.36	11	0.31	0.666
მკურნალობა	კონსერვატიული	8	0.16	4	0.11	0.557
	ოპერაციული	42	0.84	31	0.89	0.557
ფიქსატორის ტიპები	ინტრამედიულარული ფიქსატორი	8	0.16	6	0.17	0.890
	ძვალსზედა ფიქსატორები	21	0.42	16	0.46	0.737
	არაქვროვანი ფიქსატორები	13	0.26	10	0.29	0.796
ძვლის რეგნერაციის დარღვევებს ტიპები	ჰიპერტროფიული	12	0.24	9	0.26	0.859
	ჰიპოტროფიული	16	0.32	11	0.31	0.956
	ატროფიული	22	0.44	15	0.43	0.918
შეუხორცი მიზეზები	ურაგმენტი. არასამარ. რეპოზიცია (წანაცვლება)	18	0.36	14	0.40	0.712
	არასტაბილური ოსტეოსინოზი	19	0.38	13	0.37	0.937
	არაკალიფიციური ოსტეოსინოზი	7	0.14	4	0.11	0.732
	რბილი ქსოვილების ინტენსიურია	7	0.14	6	0.17	0.696
	ძვლის დიდი დეფექტი ძვლის საზრდელას დაზიანებით ტრავ- მული ან ინტრაოპერაციული	3	0.06	1	0.03	0.506
	ძვლის მიეროორენულაციის დარღვევა	42	0.84	31	0.89	0.557
	პერიფერიული ნერვის დაზიანება	0	0.00	0	0.00	
	კანის და რბილი ქსოვილების დაზიანება, რაც იწვევს კუნ- თების და ძვლის საზრდელას კვებას მოშლას	3	0.06	3	0.09	0.653
	ძვლის მრავალფრაგმენტოვანი დამსხვრეული მოტეხილობა	18	0.36	12	0.34	0.872
	ადრეული ინფექცია	4	0.08	2	0.06	0.689
	გვიანი ინფექცია	3	0.06	1	0.03	0.506


მკურნალობის შედეგად შეხორცება მიღწეულია ყველა შემთხვევაში, საშუალო ვადა 4-დან 9 თვემდე, დიაპაზონი 4-7.7 თვე, არადამაკმაყოფილებელი შედეგი – 1, დამაკმაყოფილებელი – 2, კარგი – 32. მიმღებარე სახსრების მდგომარეობა: ძალიან კარგი – 72%, კარგი – 14%, დამაკმაყოფილებელი – 12%, არადამაკმაყოფილებელი – 2%; საკონტროლო ჯგუფში – არადამაკმაყოფილებელი შედეგი – 7, დამაკმაყოფილებელი – 1, კარგი – 42.

შეუხორცებელი მოტეხილობის მკურნალობის შედეგები



დიაგრამა 1

მაგალითი: პაციენტი ნ.მ., 42 წლის, 2 წლის წინ მიიღო დიდი წვიგის ჭლის ფრაგმენტოვანი მოტეხილობა, ჩაუტარდა ოპერაციული მკურნალობა ჭანჭიკებით და ფირფიტით, რის შემდეგ განუვითარდა პიპოტროფიული ყალბი სახსარი.



სურ. 1. ოპერაციის სქემა



სურ. 2. ოპერაციის შედეგი



მოგვმართა ოპერაციდან 1.5 წლის შემდეგ. ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდიკით მკურნალობის შედეგად აღდგა კიდურის საყრდენულოანობა. პაციენტი მოგვმართაშე 4 კვირის შემდეგ ნაწილობრივ, ხოლო 3 თვის შემდეგ სრულად ტკირთაგს კიდურს, არ აღენიშნება ტკივილი და კოჭლობა, სრულად აღდგა მოძრაობა მიმდებარე სახსარზე (სურათი 1).

ამრიგად, ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდიკა სარწმუნოდ აუმჯობესებს შეუხორცებელი მოტეხილობის მკურნალობის შედეგებს და შეიძლება რეკომენდებულ იქნას ფართო გამოყენებისთვის.

ლიტერატურა

1. Гайярт Г., Ренни Д. Путеводитель читателя медицинской литературы. Принципы клинической практики, основанной на доказанном. Издательство Медия Сфера. М., 2003, 321 с.
2. Athanasiou V.T., Papachristou D.J., Panagopoulos A., Saridis A., Scopa C.D., Megas P. Med. Sci. Monit., 2010, 9, 24-31.
3. Bansal M.R., Bhagat S.B., Shukla D.D. Int. Orthop., 2009, 9, 779-784.
4. Bigham A.S., Dehghani S.N., Shafei Z., Torabi N.S. J. Orthop. Traumatol., 2008, 9, 73-80.
5. Braheim N.A., Elgafy H., Xu R. J. Am. Acad. Orthop. Surg., 2001, 9, 210-218.
6. Gelalis I.D., Politis A.N., Arnaoutoglou C.M., Korompilias A.V., Pakos E.E., Vekris M.D., Karageorgos A., Xenakis T.A. Injury, 2012, 43 (7), 980-988.
7. Hegde C., Shetty V., Wasnik S., Ahammed I., Shetty V. Eur. J. Orthop. Surg. Traumatol., 2012, 10, 1007-1057.
8. Kinney R.C., Ziran B.H., Hirshorn K., Schlatterer D., Ganey T. J. Orthop. Trauma, 2010, 8 (Suppl. 1), 52-55.
9. Niu Y., Bai Y., Xu S., Liu X., Wang P., Wu D., Zhang C., Li M. Arch. Orthop. Trauma Surg., 2011, 131 (7), 885-891.
10. Takikawa S., Bauer T.W., Kambic H., Togawa D. J. Biomed. Mater. Res. A, 2003, 8 (1), 37-42.
11. Vaughan E.D. Plast. Reconstr. Surg., 2003, 112, 6, 1517-1527.

МЕТОДИКА ХИРУРГИЧЕСКОГО ЛЕЧЕНИЯ НЕСРОСШИХСЯ ПЕРЕЛОМОВ ТРУБЧАТЫХ КОСТЕЙ

**Ш. Болквадзе, М. Табатадзе, Н. Авазашвили, Э. Пховелишивили,
Н. Мардჯанидзе**

Ltd «Центр неотложной хирургии и травматологии», Тбилиси

РЕЗЮМЕ

Цель исследования: оценка эффективности хирургического лечения несросшихся переломов большеберцовой кости с использованием кортикальных интрамедуллярных аутотрансплантатов.

Материал и методы. Работа основана на результатах лечения 35 пациентов с несросшимися переломами трубчатых костей, находившихся в клинике

«Синтез», в лечении которых применяли кортикальный интрамедуллярный аутотрансплантат.

Среди больных данной группы были 21 мужчин и 14 женщин – средний возраст от 18 до 79 лет. Контрольную группу составили 50 больных с несросшимися переломами (из них 21 женщин и 29 мужчин), которым проводили лечение традиционным методом: неочаговый остеосинтез применялся у 23 пациентов, интрамедуллярный стержень – у 27. Статистическая обработка результатов проводилась по критерию Фишера (точный тест). Достоверными считали различия при значениях $p < 0.05$. Анализ проводили с помощью пакета статистических программ SPSS 22.

Результаты. Сравнение результатов двух групп спустя 4-5 месяцев после операции показало, что при применении интрамедуллярных аутотрансплантатов количество хороших результатов составило 91%, в контроле – 66%. Таким образом, предлагаемая методика улучшает результаты лечения несросшихся переломов трубчатых костей и ее можно рекомендовать для общего применения.

TECHNIQUE OF SURGICAL TREATMENT OF TUBULAR BONES' NONUNION FRACTURES

Sh. Bolkvadze, M. Tabatadze, N. Avazashvili, E. Pkhvelishvili, N. Marjanidze

Ltd “Center for Emergency Surgery and Traumatology”, Tbilisi

SUMMARY

The aim of the study was to estimate the effectiveness of surgical treatment of nonunion fractures of the tubular bones using intramedullary cortical autotransplant.

Material and Methods. The study was based on the results of treatment of 35 patients with nonunion fracture of tubular bones, who were placed in the clinic "Synthesis", where intramedullary cortical autotransplant was used in the treatment.

Among the patients of this group were 21 male and 14 female aged from 18 to 79 years. The control group consisted of 50 patients with nonunion fractures (including 21 women and 29 men), who underwent the traditional method of treatment: external fixation was used in 23 patients, intramedullary rod – in 27. The statistical analysis was performed by Fisher's exact test. The differences were considered to be reliable in values of $p < 0.05$. The analysis was performed using the statistical software package SPSS 22.

Results. The comparison of two groups of patients after 4-5 months following the surgery has shown that while using intramedullary autotransplants a number of good results makes up 91%, and 66% – in the control. Thus, the proposed method improves the results of treatment of tubular bones nonunion fractures and it can be recommended for general use.

ეპილეფსიის სუბიექტური ზემოქმედების ხარისხი ფორმულარი ეპილეფსიური გულყრების მქონე ჰართულ პრაცედური

ნ. გ ზორიშვილი^{1,2} გ. აღანიძე¹ გ. ტოვონიძე¹ გ. ლომიძე¹
 ა. ცისკარიძე² ს. გახრაძე¹

¹ ნეიროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი;

² ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეპილეფსია ქრონიკული ნეიროლოგიური დაავადებაა, რომელიც მსოფლიო მოსახლეობის 1%-ს აღენიშნება. საქართველოში აქტიური ეპილეფსიის გავრცელების მაჩვენებელი 8.8:1000 უდრის. ხანგრძლივი და აღეპვატური მეურნალობის რეჟიმის პირობებში, დაავადებულთა 70-75%-ში მიღწევადია ეპილეფსიური შეტევების სრული შეწყვეტა და დაავადებულთა ფინქტო-სოციალური სრულფასოვნების შენარჩუნება. მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში გავრცელებული ცრურწმენებისა და არასწორი შეხედულებების მიზნებით, ეპილეფსია მიჩნეულია ერთერთ ყველაზე მასტიგმატიზებელ და უნარშემზღვდავ მდგომარეობად, რომელიც დაავადებულს მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის სწავლის, დასაქმების, ოჯახის უქმნის, პროფესიის შეწევის, მანქანის მართვისა და საზოგადოებრივი აქტიურობის საკითხებში. ეპილეფსიური გულყრის განვითარების შიში დაავადებულებს ხშირად შფოთვას და არასრულფასოვნების განცდას უჩენს, რაც მნიშვნელოვნად აქვთიერებს მათი სიცოცხლის ხარისხს, თუმცა, ცხოვრების დაბალი ხარისხი არცთუ იშვიათია შეწყვეტილი ეპილეფსიური გულყრების მქონე პაციენტებშიც.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ეპილეფსიის სუბიექტური ზემოქმედების ხარისხის განსხვავების შესწავლა სხვადასხვა ტიპის ანტიეპილეფსიური თერაპიის ფორჩე იმ პაციენტებში, ვისაც შეწყვეტილი პრონდა ეპილეფსიური გულყრები.

"ეპილეფსიის სუბიექტური ზემოქმედების შესაფასებელი კოსხარის" ქართულად ადაპტირებული ვარიანტის მეშვეობის გამოიკითხა ფორმალური ეპილეფსიის მქონე 152 ზრდასრული პირი; რესპონდენტთა 84% (128 პირი) იმყოფებოდა მონოთერაპიულ მეურნალობაზე. რესპონდენტთა 83% (106) იდებდა ძველი თაობის ანტიკონვულსანტებს მონო- ან პოლითერაპიულ რეჟიმში. კვლევის შედეგების მიხედვით, ეპილეფსიის სუბიექტური ზემოქმედების ხარისხი მკვეთრად დაბალი პრონდათ ძველი თაობის ანტიეპილეფსიური პრეპარატებით ნამეურნალებს და პოლითერაპიულ რეჟიმზე მყოფ პაციენტებს, რომლებსაც აღნიშნული პრეპარატები ყველაზე ხშირად პრონდათ დანიშნული მათი ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

საქვანძო სიტყვები: ეპილეფსია, ანტიკონვულსანტები, მონოთერაპია, პოლითერაპია, ცხოვრების ხარისხი

ეპილეფსია ქრონიკული ნევროლოგიური დაავადებაა, რომელიც შესრულებულით მოსახლეობის 1%-ს აღენიშნება და სანგრძლივ სამედიცინო მეთვალყურეობას საჭიროებს შესაბამისი ანტიეპილეფსიური მკურნალობის რეჟიმით. დაავადების აღეკვატური მკურნალობა და სამედიცინო მეთვალყურეობა საქმაოდ ძირიადლირებული პროცესია, რის გამოც ეპილეფსია მიწნეულია როგორც მნიშვნელოვან სამედიცინო, ისე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემად, რაც საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევს როგორც დაავადებულსა და მის ოჯახს, ისე საზოგადოებასა და სახელმწიფოს [12].

ეპილეფსია ერთ-ერთი ყველაზე მასტიგმატიზებული სამედიცინო მდგრმარეობაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს არა მარტო დაავადებულზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე [1].

ეპილეფსიის შესახებ საზოგადოებაში გავრცელებული ცრურწმენებისა და არასწორი შეხედულებების გამო ეპილეფსიით დაავადებული ადამიანი ოდიოგანვე მიიჩნეოდა სამარცხეინო, საშიშ და საზოგადოებისთვის მიუღებელ პიროვნებად, რის გამოც დიაგნოზი დაავადებულს დღესაც უქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს სწავლის, დასაქმების, ოჯახის შექმნის, პროფესიის შერჩევის, მანქანის მართვისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების საკითხებში [6, 7]. დადგენილია, რომ ეპილეფსიით დაავადებული სახოლო ასაკის ბავშვების უმრავლესობა მოკლებულია ადეკვატურ სასკოლო-საგანმანათლებლო პროცესს [3]. ეპილეფსიის გამო დაავადებულთა უმრავლესობა დაუსაქმებელია, დანგრეული აქვს ოჯახი ან თავს იკავებს ოჯახის შექმნისგან [8]. ამ მიზეზებიდან გამომდინარე, დიაგნოზი ძლიერი სტრესია პაციენტისა და მისი ოჯახისთვის, რომელიც დაავადებულს არასრულფასოვნების, უსუსურობის, სირცხვილისა და დაუცველობის განცდას უჩენს [2], მნიშვნელოვნად აქვეითებს მათი სიცოცხლის ხარისხს.

